ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4824116118**
თარიღი: **25/04/2024**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით დასამტკიცებლად ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის" ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის N გ-49.492302718 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დანართი თან ერთვის.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge

განკარგულება

ქ. წყალტუბო

აპრილი 2024 წელი

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის გ-49.492302718 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

1.შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის გ-49.492302718 განკარგულებაში და ამ განკარგულებით დამტკიცებული ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ბენეფიციართა შერჩევის წესი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი N1-ის შესაბამისად.

2.განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა: ნ.ჩაკვეტაძე

შეთანხმებულია: ნ. მჟავია

გ.ყურაშვილი

დანართი 1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს ბენეფიციართა შერჩევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ა (ა)ი.პ. „წყალტუბოსმუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ის (შემდგომში „სათნოების სახლი“) ბენეფიციარების შერჩევის წესის მიზანია დადგინდეს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მოხდება ბენეფიციართა შერჩევა-რეგისტრაცია და განაწილება სათნოების სახლში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ,,სათნოების სახლი'' - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ა(ა)ი.პ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“, რომლის მიზანია სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის უზრუნველყოფა კვებით და საამისოდ საჭირო შესაბმისი პირობების მქონე ფართით.

2. ბენეფიციარი-პირი, რომელიც სარგებლობს „სათნოების სახლის“ მომსახურებით.

3. რეგისტრაცია-სოციალურად დაუცველი და მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი პირის აღრიცხვა ბენეფიციარად.

4. საცხოვრებელი ადგილი-პირის საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი რეგისტრირებულია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით.

მუხლი 3. სათნოების სახლში ბენეფიციართა რაოდენობა

„სათნოების სახლში“ დასარეგისტრირებელ ბენეფიციართა საერთო რაოდენობა განისაზღვრება არა უმეტეს 220 ბენეფიციარით.

მუხლი 4 .ბენეფიციართა რეგისტრაცია

1.სათნოების სახლში ბენეფიციარად რეგისტრაციის მიზნით პირმა განცხადებით უნდა მიმართოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, რომლის დავალებით ბენეფიციართა აყვანის საკითხზე გადაწყვეტილებას ღებულობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სათნოების სახლის“ ბენეფიციართა სიის მონიტორინგის მიზნით შექმნილი კომისია- (შემდგომში კომისია).

მუხლი 5. კომისიის სტრუქტურა

1.კომისია იქმნება და მისი შემადგენლობა განისაზღვრება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2.კომისიას თავმჯდომარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ან მის მიერ განსაზღვრული მერიის თანამდებობის პირი, ხოლო კომისიის წევრთა შემადგენლობაში შედიან: მერის მოადგილე (მოადგილეები) და/ან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის უფროსი (უფროსები) და/ან განყოფილების უფროსი (უფროსები), სტრუქტურული ერთეულის უფროსი სპეციალისტი (სპეციალისტები), უმცროსი სპეციალისტი (სპეციალისტები),

3. კომისიას ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც განისაზღვრება მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. კომისიას ჰყავს სხდომის მდივანი, რომელსაც კომისიის წევრთა შემადგენლობიდან ნიშნავს თავმჯდომარე. სხდომის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის მუშაობის ორგანიზებას და შესაბამისი ოქმის შედგენას.

5.კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში,მის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 6. კომისიის უფლებამოსილება

1. კომისია უფლებამოსილია:

ა) შეამოწმოს კომისიის სხდომაზე განსახილველად წარდგენილი განცხადებებისა და დოკუმენტების სისრულე, საფუძვლიანობა და მისი შესაბამისობა კანონთან.

ბ) განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება სათნოების სახლში ბენეფიციართა შერჩევა-რეგისტრაციის თაობაზე.

გ) მიიღოს გადაწყვეტილება განცხადების განხილვის ან/და განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

2.კომისია განცხადებას განიხილავს ერთი თვის ვადაში და იღებს გადაწყვეტილებას პირის ბენეფიციარად რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 7. კომისიის სხდომა

1. კომისიის სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ სათნოების სახლში ბენეფიციართა შერჩევა რეგისტრაციისა და განაწილების საკითხის განსახილველად.

2. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს სხდომის თავმჯდომარეს.

4. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი წერილობითი ფორმით დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

5. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელშიც მიეთითება კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე, მდივანი და ყველა დამსწრე წევრი.

6.კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მერი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს ბენეფიციართა სიის დამტკიცების შესახებ.

მუხლი 8. ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმები

1. ბენეფიცაირად რეგისტრირდება პირი, რომლის ოჯახიც აღრიცხულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა ფიქსირდება 0-დან -120 000-ის ჩათვლით.

2. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პირის ბენეფიციარად რეგისტრაციის შესახებ, თუ იგი ვერ აკმაყოფილებს მე-8 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირობას, მაგრამ მისი შემოსავალი ნაკლებია საარსებო მინიმუმზე და მოკლებულია შესაძლებლობას დამოუკიდებლად უზრუნველყოს მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ან/და არიან მრავალშვილიანი ოჯახის წევრები ან/და მარტოხელა პენსიონრები.

3. განცხადებას პირის ბენეფიციარად აყვანის შესახებ უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი

ბ) სოცილური მომსახურების სააგენტოს ბაზის ამონაწერი.(იმ შემთხვევაში თუ სოციალურად დაუცველია (0-დან 120 000-მდე ქულა) .

მუხლი 9. უარი ბენფიციარად რეგისტრაციაზე

კომისია უფლებამოსილია უარი განაცხადოს რეგისტარციაზე იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ აკმაყოფილებს მე-8 მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებს ან და შევსებულია ბენეფიციართა საერთო რაოდენობა.

მუხლი 10. ბენეფიციარის რეგისტრაციიდან მოხსნა კომისია იღებს გადაწყვეტილებას

ბენეფიციარის რეგისტრაციიდან მოხსნის თაობაზე , თუ:

1. ბენეფიციარმა პირადი განცხადებით მიმართა ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სათნოების სახლის" ბენეფიციართა სიის მონიტორინგის მიზნით შექმნილ კომისიას აღნიშნულის შესახებ;

2. ბენეფიციარი არ აკმაყოფილებს მე-8 მუხლით დადგენილ კრიტერიუმებს;

3. ბენეფიციარის საცხოვრებელი ადგილი არ მდებარეობს მუნიციპალიტეტის საზღვრებში;

4. ბენეფიციარი 10 დღის განმავლობაში არ სარგებლობს სათნოების სახლის მომსახურებით და აღნიშნული არ არის გამოწვეული საპატიო მიზეზით;

5. ბენეფიციარი გარდაიცვალა, ან/და არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან/და გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ.

6. პირი რომელმაც დაიწყო მუშაობა საჯარო სამსახურში, (აღნიშნულის ინფორმაციის მიწეოდებაზე პასუხისმგებელია ა(ა) იპ „სათნოების სახლის“ დირექტორი.

7. იმ შემთხვევაში, თუ ,,სათნოების სახლში'' ბენფიციარი (პირი),მოკლებულია გადაადგილების შესაძლებლობას, იგი უფლებამოსილია შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში ისარგებლოს საკვების შინ მიტანის სერვისით. გადაადგილებას მოკლებულმა ბენეფიციარმა (პირმა) შინ მიტანის სერვისის განსახორციელებლად უნდა წარმოადგინოს ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ფორმა № IV-100/ა.

8. იმ შემთხვევაში თუ პირი ცხოვრობს მათალმთიან დასახლებაში და აკმაყოფილებს მე- 8 მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებს , ა(ა)იპ ,,სათნოების სახლი“ უფლებამოსილია სამ თვეში ერთხელ არანაკლებ 10 ბენეფიციარზე, უზრუნველყოს მშრალი საკვების მიტანა სახლში. მაღალმთიანი დასახლებაში მცხოვრებმა პირმა უნდა წარმოადგინოს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 11. გარდამავალი დებულებები

1. პირი, რომელიც აღნიშნული წესის ამოქმედებამდე სარგებლობდა სათნოების სახლის მომსახურებით ბენეფიციარად შეიძლება იქნას რეგისტრირებული კომისიის მიერ მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის გარეშე.

2. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მე-10 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველი, კომისია იღებს გადაწყვეტილებას მე-11 მუხლის პირველი პუნქტით მითითებული პირის რეგისტრაციაზე უარის თქმის ან რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ.